ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N15

2015 წლის 20 მარტი

დ. ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას ბიჯის სიდიდისა და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას, ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5 %-ის ოდენობით.

მუხლი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო) ფორმით პრივატიზებისას, აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე